ხელშეკრულება № 46

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

26 ივლისი 2018 წელი

სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ბაბაკიშვილის სახით, და **შპს „გეიმინგ რუმი“** (შემდგომში **„მიმწოდებელი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი სარდანაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“ ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
6. „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება დანართი N1-ის შესაბამისად შეადგენს **2,288.30 (ორი ათას ორას ოთხმოცდარვა ლარი და ოცდაათი თეთრი)** ლარს.
2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N16.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია მოწოდებული საქონლის შესახებ;

დ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუქმნას მიმწოდებელს სათანადო პირობები მასზე დაკისრებული მოვალეობის ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დანართ №1-ში გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდზე.

2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი ან/და პირთა ჯგუფი, ან კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი);

3. ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი. თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

2. საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - **ლევან ბაიდოშვილი.**

8. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების/გამოსასწორებელი წუნის შემთხვევაში ამ საქონლის ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ან/და ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

4. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან და მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12. დავების გადაწყვეტა

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

2. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“
მისამართი: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N16
ტელ: 032 261 072, 032 261 095
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204577813

მიმწოდებელი

შპს „გეიმინგ რუმი“
მისამართი: ქ. ზესტაფონი, გ. აბესაძის ქ. N46
ტელეფონი: (+995) 599 487878
საბანკო რეკვიზიტები: ა.ნ GE30LB0113175746212000
სს ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22, სკ-430031912

№	საქონლის დასახელება/ძირითადი მახასიათებლები	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)	CPV-კოდი
1	Mini DisplayPort Mini DP to HDMI 4K UHD Ultra HD Male to Female Converter Adapter, White // UNITEK // ჩინეთი;	ცალი	2	18.50	37.00	CPV32520000
2	DP Display Port to HDMI Converter Male to Female // Benfei // ჩინეთი;	ცალი	3	20.30	60.90	
3	USB C to HDMI 4K Adapter, Thunderbolt 3 to HDMI 4K Adaptor Male to Female Adapter // Benfei // ჩინეთი;	ცალი	3	35.60	106.80	
4	4K Mini DisplayPort to HDMI Adapter Mini DP(Thunderbolt Port Compatible) to HDMI AV HDTV Male to Female Adaptor for Mac Book Imac // CableCreation // ჩინეთი;	ცალი	3	16.20	48.60	
5	VGA To HDMI Output 1080P HD Audio TV AV HDTV Video Cable Converter Adapter With Audio Support // Brisk Links // ჩინეთი;	ცალი	2	55.20	110.40	
6	Mini HDMI Male to HDMI Female Converter Adapter Cable Cord 1080P // Afunta // ჩინეთი;	ცალი	3	21.70	65.10	
7	Micro HDMI to HDMI Cable Male to Female Micro HDMI Adapter Support 4K 60Hz 3D 1080P Ethernet Audio Return // UGREEN // ჩინეთი;	ცალი	3	26.10	78.30	
8	HDMI to DVI Cable, Bi-Directional HDMI Female to DVI-D(24+1) Male Adapter, 1080P DVI to HDMI Conveter, 3D, 0.15M Black// CableCreation // ჩინეთი;	ცალი	2	21.80	43.60	
9	5-Pin Micro USB SlimPort/MyDP to HDMI Male to Female Adapter // Insten // ჩინეთი;	ცალი	2	41.60	83.20	
10	USB Type-C to USB 3.1 Gen1 Female Adapter // AmazonBasics // ჩინეთი;	ცალი	3	20.30	60.90	
11	Mini USB Cable USB 2.0 Type A to Mini B Cable Male Cord // UGREEN // ჩინეთი;	ცალი	3	18.10	54.30	
12	High-Speed HDMI Cable, 6 Feet // AmazonBasics // ჩინეთი;	ცალი	5	22.40	112.00	
13	RJ45 RJ11Cat5 Cat6 LAN Cable Tester Handheld Network Cable Tester Wire Telephone Line Detector Tracker Tool kit // Merkmak // ჩინეთი;	ცალი	2	31.60	63.20	CPV31212200
14	Motorola sl4000 charger //Hama // ჩინეთი;	ცალი	2	35.00	70.00	CPV31681500
15	Motorola dp4800 original charger // Motorola // მალაიზია;	ცალი	2	227.00	454.00	
16	ხამუთი 5x250 (პლასტმასის) // ჩინეთი;	ცალი	3000	0.07	210.00	CPV44322400
17	ხამუთი 5x300 (პლასტმასის) // ჩინეთი;	ცალი	3000	0.08	240.00	
18	ხამუთი 5x350 (პლასტმასის) // ჩინეთი;	ცალი	3000	0.09	270.00	
19	3 ზომა სკოპები // ჩინეთი;	ცალი	1000	0.03	30.00	CPV44322000
20	5 ზომა სკოპები // ჩინეთი;	ცალი	1000	0.04	40.00	
21	6 ზომა სკოპები // ჩინეთი;	ცალი	1000	0.05	50.00	
	ჯამი CPV31212200 – 63.20 ლარი					
	ჯამი CPV31681500 – 524.00 ლარი					
	ჯამი CPV32520000 – 861.10 ლარი					
	ჯამი CPV44322000 – 840.00 ლარი					
				სულ:	**2,288.30**	

შემსყიდველი

მიმწოდებელი